გაზეთი ღირს

| თვეე | მან. | კ. | თვეე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ა ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდევლის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი 1877—1888

ხახო ზაქარიას ასული მამაცაშვილისა, ზაქარია, ანტონი და ნიკოლოზ ივანეს ძენი არჯევანიძეები დებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირველი დისას თვისისას, ხოლო მეორენი — დედისას თვისისას, ეკდოკია ზაქარიას ასულის არჯევანიძისას. პანაშვიდი იქნება 29 ოქტომბერს 12 საათზე და საღამოს 7 საათზე. მიცვალებულს გაასვენებენ ქაშუეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, 30-ს ოქტომბერს, დილის 10 საათზე.

ქართული თეატრი
**კვირას, 30 ოქტომბერს,**
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

**თამარ-ბატონიშვილი**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად.

**მეორე მოქმედებაში ქ. ჩერქეზიშვილისა და აწყურელი ითამაშებენ ლეკურს.**

II

**დივერტისმენტი**

მონაწილეობას მიიღებს ბ-ნი ტყეაველი.

III

**მ ა თ ი კ ო**

(წარმოდ. იქნება მე-3 მოქმედ.)

**მონაწილეობას მიიღებენ:** ბ-ნნი უიფიანი, აბაშიძე, გამყრელიძე, აწყურელი, დიღმელი; ქ-ნნი მელიქოვისა, თამაროვისა, ჩერქეზიშვილისა და სხვანი.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**
**დასაწყისი 7½ საათზე**

**ტფილისი, 29 ოქტომბერი**

სახელმწიფოთა გამწვავებული პოლიტიკური ურთიერთობა დიდი ხანია სალაპარაკო საგნად გამხდარა და ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ყველას ლოდივით გულზე აწევს იმისი იმედი, რომ ერთამორისი ანგარიში მშვიდობიანად გადასწყდეს, არავისა აქვს, თუმცა დიპლომატია სულ იმას გაიძახის, რომ ყოველი ღონე დიპლომატიისა მიმართულია მშვიდობიანობის დასაცავადაო. გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია და სხვანი სცდილობენ მტერთათვის მიუვალნი გახდნენ და მუდამ იმაზე ჰზრუნავენ, რომ ფეხიდგან თავამდე თოფ-იარაღი ასხან. ამ მხრით მეტად საყურადღებოა ავსტრიის მოქმედება. ეს სახელმწიფო, რომელიც ეგრე თამამად ჰმოქმედებს საპოლიტიკო საქმეებში, მოუსვენრად ემზადება ბრძოლის ველზე გამოსასვლელად და არავითარს ხარჯს არა ჰზოგავს მტრის დასახვედრად. ავსტრიის სამხედრო უწყებას განზრახვა აქვს ჯარში გასაწვევ კაცთა რაოდენობა ასი ათასზე მეტი გახადოს. ამას გარდა ყოველს წელს ლანდვერში უნდა ჩაირიცხოს 22,000 ახალი ჯარის-კაცი. ავსტრიის სამხედრო გამგეობა იმითი მართლდება თავს, რომ სხვა სახელმწიფონიც აძლიერებენ თავიანთს სამხედრო ძალ-ღონესაო.

ერთს გაზეთში ნაამბობია, თუ როგორ ამაგრებს ავსტრია თავისს საზღვრებს რუსეთის მხრით და რა ღონეს ჰხმარობს, რომ მოპირდაპირემ არ გაუგოს ხერხი და ოსტატობა. სამხედრო გამგეობას ერთის ადგილიდგან მეორეზე გადაჰყავს ჯარები, რათა მოპირდაპირემ არ შეუტყოს, სად და რამდენი ჯარი უნდა იყოლიოს, ან რა ციხე-სიმაგრე უნდა ააგოს. თვით ამ ჯარების გადაყვან-გადმოყვანის საგნად ისა აქვს მხოლოდ, რომ მოპირდაპირემ ვერ შეუტყოს ავსტრიას ნამდვილი მზადება და მხედრობის რაოდენობა. ჯარების გადაყვან-გადმოყვანის დროს ავსტრიის სამხედრო გამგეობა თურმე ფარულად ემზადება საომრად და ამით თვალს უხვევს თავისს მოპირდაპირესაო. როგორც ეტყობა, განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია ავსტრიის ოლომიუცის ციხისათვის, რომელიც მორავიაში მდებარეობს. ამ ციხეში და თვით ქალაქში სამხედრო გამგეობას განზრახვა აქვს თურმე ას ორმოცდა-ათი ათასი ჯარის-კაცი დააყენოს და ამ ჯარის შესაფერი საარტილერიო იარაღი და მასალა შეჰკრიბოს. ოლომიუცს, რაკი ამ ნაირად იქნება გამაგრებული, სამხედრო საქმის მცოდნე კაცთა აზრით, შეუძლიან ორას სამასი ათასი ჯარის-კაცი შეაკავოს, ესე იგი შეუძლიან ისეთი სამსახური გაუწიოს ავსტრიას, როგორიც ოსმალეთს გაუწია პლევნამ; ოლომიუცი მტერს არ მიუშვებს ვენაზე და ამ სახით გზას შეუკრავსო. ამიტომაც ამ ჟამად დიდი მზადებაა ოლომიუცში; აკეთებენ რკინის ხიდებს, ამზადებენ შენობებს სურსათისათვის და სხვანი.

გერმანიაც შესაფერად ემზადება, განსაკუთრებით საფრანგეთის საზღვარზე. გერმანიის სამხედრო გამგეობას გადაუწყვეტია გააძლიეროს ჯარები ელზას-ლოთრენში. ამ ჯარს, რომელიც დღეს სდგას ამ პროვინციაში, კიდევ უნდა მიუმატონ ოც-და-ორი ათასი ქვეითი და ცხენოსანი ჯარის-კაცი და ხუთი საარტილერიო „ბატარეია“.

ა. ა—ნი

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის გამგეობას ასი ათას მანეთად დაუგირავებია ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში საქალაქო სახლი, რომელიც ერევნის მოედანზეა.

*** 31-ს ოქტომბერს, ორშაბათს, ბაწკის თეატრში ბ-ნი ფორკატი პირველად გაჰმართავს მელოდრამა-ფეერიას „ტყის ყაჩაღი“. ამ ფეერიისათვის ბ-ნს ფორკატის დაუმზადებია ახალი დეკორაციები და სხ. წარმოდგენაში სამოცამდე კაცი იღებს მონაწილეობას.

*** დღეს, 30-ს ოქტომბერს, იტალიის ბაღში დანიშნულია ჭიდაობა კულა გლდანელისა და გურამელისა. თუ გლდანელმა სძლია გურამელს, მაშინ იგი იწვევს საჭიდაოდ ნესტორ ესებუას. როგორც სჩანს, გლდანელს კიდევ ერთხელ ჰსურს სცადოს ბედი და არ უნდა პირველის, უძლეველის მოჭიდავის სახელი სხვას დაუთმოს, თუმცა ჭიდაობის წესი ნებას არ აძლევს ხელ-მეორედ დაეჭიდოს ნესტორ ესებუას, რომელმაც ამ რამდენისამე თთვის წინად გლდანელი ისე დასცა, რომ იმისი დამარცხება უეჭველი იყო და ონელმა მესტვირემ ლექსით შეამკო ესებუას გამარჯვება.

*** თელავი: ის საშინელი ამბავი, რომ საიმპერატორო მატარებელი დაიმსხვრა ბორკის სადგურზე, მთელს კახეთს, დიდსა თუ პატარას, თავადსა თუ გლეხს და ბერსა თუ ერს, გულში ელდასავით ეცა. ჩვენს სიხარულს, რომ უზენაესმა დაიფარა მათნი უდიდებულესობანი და უავგუსტოესი სახლობა გადაარჩინა საშინელს განსაცდელს, საზღვარი არა ჰქონდა. ორშაბათს, 24 ამ თთვისას, სამადლობელი პარაკლისი იქმნა გადა-

## ფელეტონი

**ზეზვა და ბახტრიონის ციხე.**

(ნაწყვეტი ჩვენის ისტორიისა)

„ბახტრიონის ალების“ გამო*)

თუშ-ფშავ-ხევსურთა ლექსებში ხშირად იხსენიება როგორც სახალხო გმირი ზეზვა, ისე სოფელი ბახტიონი. იქნება ბევრმა არც-კი იცოდეს, რომ ზეზვა თუშების გმირი იყო და ბახტრიონი კიდევ ციხე, რომელიც ოდესმე სპარსელების ბატონობას იფარავდა კახეთში და იმათის მბრძანებლობის ბურჯად ითვლებოდა. ეხლა ბახტრიონი პატარა სოფელია ზემო კახეთში, „შეუპოვარის“ ალაზნის პირად სდევს, ერთს მაღლობ გორაზედ. ეს გორა მთელს კახეთს დასცქერის. აქედამ ალაზნის მარჯვენა მხარე ისე მოსჩანს, თითქო ხელის გულზედ გიძევსო. მდებარეობა და საომარი საზრისი ხელს უწყობდა სპარსელ მტარვალებს ეს კოპწია და ტურფა სოფელი ციხედ გარდაექციათ და გარდააქციეს კიდეც. ოდესმე იგი ციხე საშინელებას შეადგენდა კახელებისათვის, ეხლა-კი ციხის ნატამლები და ნანგრევები ჰმოწმობენ იმ არა-სანატრელს დიდებასა და სახელს, რომლითაც განთქმული ყოფილა ბახტრიონი...

როცა შაჰ-აბაზ დიდმა ააოხრა კახეთი, ამ სამეფოში ქრისტიანობის აღმოსაფხვრელად და ხალხის სამუდამოდ დასამონავებლად თხუთმეტ ათასამდე კომლი სპარსელი გადმოასახლა. მაგრამ, მოგეხსენებათ, „კახთა ვაჟკაცთა“ დაპყრობა ადვილი არასოდეს არა ყოფილა და არც იმ დროს იყო. თუმცა კახეთი მიწასთან იყო გასწორებული, მაგრამ ხალხს გული გატეხილი არა ჰქონდა, ნუგეში და იმედი არ მოსპობოდა. ყიზილბაშური პოლიტიკა კიდევ ხომ სულ იმას მისდევდა, რომ დამარცხებული ხალხი მუდამ შიშსა და ელდას ქვეშ ჰყოლოდა, უკანასკნელი ნაპერწკალი სასოებისა და ნუგეშისა აღმოეფხვრა ხალხის გულისაგან, იგი ხალხი გაეთახსირებინა, გაედიაცებინა, „გაეღედლებინა“, ჩვენის პოეტის გურამიშვილის თქმისა არ იყოს... ამიტომაც მიუვალი ციხე ააშენეს ბახტრიონში. როგორც სჩანს, ეს ციხე სულთან არდალალენმა ააგო, სწორედ იმ სულთანმა, რომელსაც შემდეგში თავზედ დაანგრიეს იგი და რომელიც ძლივს გადარჩა კახეთის აშლასა და გაიქცა სპარსეთში... კახეთის გამგებელი სელიმ-ხანი იყო, ბახტრიონში ციხის თავად კიდევ სულთანი იჯდა და იქიდამ შიშის ზარსა სცემდა მთელს არე-მარეს. გვარ-ტომობით სპარსელი სელიმ-ხანი სდევნიდა ქრისტიანობას, აუპატიერებდა ეკკლესიის მსახურთა, აშენებდა მეჩითებს და თვით ალავერდის დიდებული ტაძარი ყორანის სადიდებელ სალოცავად გახადა. იმ სალოცავის ნაშთსა და ნანგრევებს ეხლაც შეხედებით ალავერდის გალავანში. რისა და ვის იმედით მძვინვარებდა ასე გაბედულად სელიმ-ხანი?—ბახტრიონში სულთანი იდგა თავისის ჯარით!..

აღელვებულის ხალხის მუქარაც ამ სულთანისკენ იყო მიქცეული. ხალხი ჰხედავდა, რომ მტარვალობისა და ბატონობის ძალ-ღონე ბახტრიონის ციხე იყო. ამ ციხის თავი—სულთანი ხომ კიდევ გულს უწყლავდა ყველა პატიოსანს მამულიშვილს, რადგანაც ეს თავ გასული სარდალი არავის ეპუებოდა და თვით ისეთს გმირსაც-კი, როგორიც ზეზვაა, არაფრად აგდებდა,—

ბახტრიონს გავჭრი კვნახსა,
ზედ დავასახლებ ერსაო;
არც თუშებს შევეპუები
და არც ზეზვაის ცხენსაო...

რასაკვირველია, თავ-მომწონე ზეზვას მეტად სწყინდა სულთანის ასეთი ქცევა, იმისი სიამაყე; ზეზვას სულ ის აგონდება, რომ მალე გაემკლავოს სულთანს, განაძევოს იგი თავისის სამშობლოდგან; თავისს „ლურჯას“ ქერს ბლომად აჭმევს, აიალაღებს,—

კს რომ გაიგო ზეზვამა,
ცხენს მაუმატებს ქერსაო;
„ჩქარა გასუქდი, ლურჯაო“,
გავაზედ უსომს ხელსაო...

რად, რისთვის?—თქვენც კარგად გესმით თავგანწირულის გმირის გულის თქმა, იმისი იდუმალი სურვილი—

დავამწყემსები სულთანსა,
როგორც მიმინო მწყერსაო;
თოფს დავკრავ, ხმალსაც შემოვკრავ,
დღეს დავაყენებ ცხენსაო;
თავსაც იქ დავსდებ ჭალარსა,
ადგილს არ მივცემ ჩვენსაო[1]).

მაგრამ ცოტა შორიდამ უნდა დავიწყოთ. ქრისტიანობის დევნამა და შევიწროებამ ხალხი მოთმინებიდამ გამოიყვანა. მართალია, კახეთი ღონემიხდილი იყო, მტერთან მარტო თითონ ვერას გააწყობდა, მაგრამ მთის იმედი ჰქონდა. აქ, ამ მთაში „არწივნი მაღლის მთისანი“ მზად იყვნენ შეემუსრათ საერთო მტერი, ძირს დაეცათ მტარვალობის ბუდე—ბახტრიონის ციხე. რასაც ზეზვა ნატრობდა, ის საერთო ნატვრა იყო; მარტო გოგოლაური-კი არა, ყველა „გოგოლაურობდა“,—

ბიჭი ვარ გოგოლაური [2])...
ნუ მშინჯავ ტალავარზედა:
წინ-წინ მე გადავფრინდები
ბახტრიონს გალავანზედა!

ეს ყველა ხომ ასე, მაგრამ მტრის დასამხობლად და სამშობლოს დასახსნელად საჭირო იყო მეთაურობა, თუ გნებავთ, შეთქმულობა. მარტო გოგოლაურების ბიჭობა ვერას გახდებოდა, ვერას გააწყობდა. ვინ იდვა ტვირთად ეს მეთაურობა? იმ შავსა და ბნელს დროს, როცა ეს ამბავი მოხდა (შაჰ-აბაზის II დროს, მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევარს), არაგვის ხეობის გამგებლად ზაალ ერისთავი იყო. ამ ზაალს მიჰმართა ერთმა მღვდელმა და გულ-მდუღარებით მოახსენა სარწმუნოებისა და ხალხის გაჭირებული ყოფა და ამასთანავე სთხოვა ქვეყნისა და ეკკლესიის ხსნა, განთავისუფლება. არაგვის ერისთავი აენთო იმ უზენაესის ცეცხლით, რომელსაც მარტივი, მაგრამ სამღვთო სახელი „სამშობლოს სიყვარული“ ეწოდება. მალე გამოჩნდა მეორე კაციც, რომელიც მოიმხრო ენა-მეტყველმა მღვდელმა: ეს კაცი იყო ბიძინა ჩოლოყაშვილი, კახეთის თავადიშვილი და განთქმული ვაჟკაცი, ზაალ არაგვის ერისთვის სიძე. მაგრამ ეს კიდევ არა კმაროდა. ბიძინა წავიდა, ქსნის ერისთავი ელიზბარი და იმისი ძმისწული შალვა დაიყოლია, დაითანხმა თავის გამოდებაზედ. ელიზბარი და შალვა მზად იყვნენ თავი დაედოთ სამშობლოსათვის.

მთიულებს ხომ თქმაც არ უნდოდათ, თავისუფლება მათთვის ყოველ დროს ძვირფასი ყოფილა და მაშინაც ძვირფასი იყო. ერთს დაძახებაზედ მთელმა თუშ-ფშავ-ხევსურეთმა თავი მოიყარა სამშობლოს დროშას ქვეშ და ეს თავს ზარ-დამცემი რაზმი გაემართა

*) იხ. „ივერია“ № 220, წერილი ბ-ნის ა. ხახანაშვილისა.

[1]) როგორც ეს ლექსი, ისე ზოგიერთი სხვაც დ. ხიზანაშვილის „ფშაურის ლექსებისაგან“ მოგვყავს.

[2]) გოგოლაური თემის სახელია ფშავში.

ხდილი აქაურს ეკკლესიებში. დიდი და პატარა, მოხუცი და ყმაწვილი მხურვალედ ჰმადლობდნენ უფალს ღმერთს მათ უდიდებულესობათა გადარჩენისათვის.

*** **ქუთაისი:** ბ-ნს ნესტორ წერეთელს, რომელსაც დ. ხონში გამართული აქვს ქართულის წიგნის მაღაზია, განზრახვა აქვს ქუთაისსა და სხვა ქალაქებშიაც გამართოს თავისის მაღაზიის განყოფილებანი.

*** **დ. ცხინვალი:** ამ რამდენისამე დღის წინად ერთი დედაკაცი მოუკლავთ თოფით ჯავის ხეობაში, სოფ. ბუხალაში. საბრალო დედაკაცს ტყვია მუცელში აქვს მოხვედრილი. ტყვია იქავე სახლში უპოვნიათ და, ამბობენ, ბერდანის თოფისა უნდა იყოსო. ვინ არის მკვლელი, ჯერ არავინ იცის.

*** **სურამი:** რამდენჯერ ყოფილა გაზეთებში მოხსენებული, რომ სურამსა და ხაშურში და მთელს სურამის მხარეში ავაზაკობა და ქურდობა მეტად გავრცელებულიაო; მუდამ ამ ჩვენს უბედურებასა ვსჩიოდით, მაგრამ არა გვეშველა-რა. პირიქით, ქურდები ისე გათამამდნენ, რომ მოსვენებას არ გვაძლევენ. აი, რამდენსამე ამბავს მოგახსენებთ: ამ დღეებში სურამში მანუჩა არუწოვს დაუწვეს ათას ფუთამდე თივის ძნები. არუწოვმა თავისი უბედურება პოლიციას გამოუცხადა, მაგრამ მიზეზი ცეცხლის გაჩენისა ჯერ ვერ აღმოუჩენიათ. 19—20 ოქტომბერს სახლი გაუტეხეს სურამშივე ხახამს მოშა ჯანაშვილს და რაც რამე ებადა, სულ ერთიანად გაზიდეს. ღამით, 26—27 ამ თთვისას, სტეპკო არუწოვს დუქანი გაუტეხეს; აქედგან-კი ავაზაკებმა ვერა წაიღეს-რა. ყველა ამ ავაზაკობამ ისე ჩაიარა, რომ ვერც ერთი დამნაშავე ვერ აღმოუჩენია პოლიციას. ამ თთვის 27—28, ღამით, ხაშურში გაქურდეს ჩიქვანი, მალანია, ცინცაძე, ტაბიძე. იმავე ღამეს თურმანიძეს მოჰპარეს ცხენი და სხვა-და-სხვა იარაღი. იმავე დღეებში ქურდები თავს დასხმიან ერთს სახლობას, მაგრამ ვერა გაურიგებიათ-რა. იმათ ამ ოჯახის დიასახლისი დახვდა ხანჯლით ხელში და ქურდები გაიქცნენ.

*** **ქართლი:** ამას წინად, დარიანობის დროს, მინდვრად ბლომად გაჩნდა თაგვი. ხალხი უჩიოდა, რომ სულ დაცხრილეს მინდორი და ნათესი წაახდინესო. მაგრამ მალე დაიჭირა ავდრები და სიცივეებმა თაგვს ბოლო მოუღო.

*** **გორი:** გორში ამ თთვის ნახევარში გათავდა კენჭის ყრა ჯარისკაცთა გასაყვანად; რამდენსამე გორელს ერგო, ერგო ისეთებს, რომლებიც ვაჭრობენ. ბევრთ თავი იქნიეს, ბევრმა ავადმყოფობაც მოიმიზეზა, მაგრამ თავი ველარ დააძვრეს. ექიმისაგან შემოწმების დროს აღმოჩნდა გლეხობაში ერთ გვარი სნეულება, რომელსაც ფუშს, ანუ თიაქარს ეძახიან; ძალიან ხშირია ფუში და ჭიპის ამობურცვა. ეს ავადმყოფობა, როგორც ამბობდა ექიმი, დიდის ჯაფისაგან უნდა იყოსო. რასაკვირველია, ასეთს ავადმყოფებს, თუმცა-კი სხვაფრივ ჯანსაღებს, მაშინათვე ანთავისუფლებდნენ. გიორგობისთვის პირველიდამ კენჭის ყრა ცხინვალში დაიწყება, იქიდამ ჯავას წავლენ და მერე სურამში. იმათ, ვისაც კენჭი ერგო, გამოუცხადეს, რომ ქრისტეშობისთვის გასულისათვის ჩამოდით გორშიო.

*** **ქართლი:** ქართლშიაც შემოიღეს მტრობით ერთმანეთის გადაწვა. აქამდე ამ ღონეს ჰხმარობდნენ მხოლოდ ოსები, ახლა-კი ქართველებმაც მიჰყვეს ხელი. ამას წინად სოფელ ხოვლეში დღით გადასწვეს ერთი გლეხი. საქმე ასე ყოფილა, როგორც ამბობენ: გლეხს ცოლს ჰბარებია მეზობლის ქალი; ასწავლიდა თურმე წერა-კითხვასა და ხელ-საქმეს. გათხოვების დრო მოსვლია, ქალი დანიშნულა და ოსტატს ქალს, წესისამებრ, საოსტატო უთხოვნია; ქალის პატრონებს უარი განუცხადებიათ; ამიტომ ოსტატს ქალი დაუთხოვნია სახლიდამ. ქალი გაჯავრებულა და ჯავრი რომ ვერაფრით ამოუყრია, ცეცხლი წაუკიდებია. დღე რომ არა ყოფილიყო, მთელი სოფელი გადაიწვებოდაო.

მეორე შემთხვევა: სოფ. მეტეხში, თუ იმის მახლობლად, მაღალაშვილს ვენახის ღობე გადუწვეს. ორივე საქმეზე გამოძიება სწარმოებს.

*** **იქიდამვე:** ამ დღეებში შემდეგი ქურდობა მოხდა რკინის გზის ვაგონში. ქალაქიდამ წამოსულა სოფ. ჩოჩეთის მედავითნე ჯ—ლი. ბილეთი გორამდე ჰქონია აღებული. ვაგონში ვიღასთვისაც აბგა მოუპარავს, გადმომხტარა გრაკალის სადგურზე და უგზო-უკვლოდ წასულა ჩოჩეთისაკენ. ჯერ მინამ წავიდოდა სოფელში, მტკვრის პირად ჩასულა, გაუხრია საკვოიაჟი და გაუსინჯნია; მეთევზეებს შეუნიშნავთ, გამოსდგომიან და შეუტყობინებიათ სადგურზე მოსამსახურეებისათვისაც. ბოლოს მედავითნე დაუჭერიათ; აღმოჩენილა, რომ რკინის გზის ფერშლისათვის, თუ ექიმისათვის აუცლია ეს აბგა; ჰგონებია, რომ ოქროებით იქნება სავსეო და ეს არის გავკეთდი კაციო. მაგრამ იმისთვის სულ უსარგებლო და უმნიშვნელო ნივთები-კი აღმოჩენილა. საქმე გამომძიებლის ხელშია გორში.

*** **გორი:** გორში ამ მომავალს ქრისტეშობისთვეში ორჯელ აპირებენ წარმოდგენას აქაურის სცენის მოყვარენი. ჯერ «პეპო» უნდა წარმოედგინათ, მაგრამ რადგანაც ზოგიერთთა მოთამაშეთა შოვნა გაუჭირდათ, ამიტომ ჯერ-ჯერობით გადასდეს. შეიძლებოდა მოეწვიათ ზოგიერთი არტისტთაგანი, მაგრამ წინააღმდეგნი გახდნენ, რადგანაც იმათი მოწვევა გორელებს ძალიან ძვირად გვიჯდება ხოლმეო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. დირბი.** სოფელი დირბი, როგორც ამას წინად „ივერიაში“ იყო მოხსენებული, შეწირულია ქართველთა მეფეთაგან იერუსალიმის ქრისტეს საფლავის მონასტრისათვის. შეუწირავთ, რასაკვირველია, იმ განზრახვით, რომ ეცხოვრნათ ქართველ ბერებს, რომლებიც ქრისტეს საფლავის მონასტერში იყვნენ იერუსალიმში. შემდეგ, ჟამთა ვითარებისა გამო, მონასტრიდგან გამოიდევნენ ქართველი ბერები და მონასტერი ჩავარდათ ხელში განსაკუთრებით ბერძნის ბერებს. მამულიც, რასაკვირველია, ამათ ერგოთ; ის დღეა და ეს დღე, როგორც დირბისა, ისე სხვა სოფლების მამულები, ქართლსა, კახეთსა, თუ იმერეთში, იხდიან ხარჯს და ემსახურებიან ქრისტეს საფლავის მონასტერს. თუმცა იმ დღეს იყო მოხსენებული, მაგრამ ეხლაც მეტი არ იქნება კიდევ გსთქვათ, რა წესით იხდიდნენ ხარჯსა, მაგალითად, თუნდ დირბელები: როდესაც ჭირნახული შემოვიდოდა, ბერი, რომელიც მამულების გამგებლად ინიშნებოდა და ინიშნება იერუსალიმის პატრიარქისაგან, და სოფელი ირჩევდა რამდენსამე სინიდისიანს კაცს. ესენი ბერის მოურავის თანადასწრებით წავიდოდნენ მინდვრად და ასწერდნენ ხოლმე ნათესს; ნიშანდობლივ აღნიშნავდნენ, ვის რამდენი დღიური ნათესი ჰქონდა და დღიურზე კოდიდამ (რვა ჩანახი) ათს ჩანახამდე შესწერდნენ ხოლმე. მაგრამ აქ ისიც უნდა გსთქვათ, რომ ორს დღიურს ბევრჯელ ერთს დღიურად სწერდნენ ხოლმე, რადგანაც ძნელი იყო თვალდათვალ შეტყობა. ამ გვარად სოფელი იხდიდა ღალას მხოლოდ პურსა, ქერსა და სიმინდზე; დანარჩენი ნათესი-კი თავისუფალი იყო გადასახადისაგან.

კულუხსაც ვენახზე ამავე წესით იხდიდნენ ე. ი. ამორჩეული კაცები მიდიოდნენ და გასწერდნენ თვითეულს ვენახს კულუხს. ამ ჟამად-კი დირბელებს, როგორც სხვა საბერო მამულებს, სხვა ნაირად გადუტრიალდათ საქმე. დირბის მამული ცნობაში მოაყვანინა ახლანდელმა გამგებელმა ბერმა, გაამიჯვნინა და ყოველისფერზე მეოთხედი მოსთხოვა. ეს ახალი წესი ხალხს არ მოეწონა და ამიტომ დირბელებმა ურჩობა დაუწყეს გამგებელსა და გაიძახოდნენ, რომ როგორც გვიხდია, ისევ ისე გადავიხდევინეთო. ამ ზაფხულს მთელი ჭირნახული გლეხობას მინდორში ჩაულპა და ჩაუშავდა; მიართვეს საჩივარი, სადაც ჯერ არს, მაგრამ მომრიგებელმა-მოსამართლემ გამოუცხადა, რომ უნდა მეოთხედი მისცეთო. დამორჩილდნენ და მისცეს ნათესის მეოთხედი მხოლოდ პურსა, ქერსა და სიმინდზე.

დადგა შემოდგომა; მოატანა რთველმა. ხალხმა სთხოვა ბერძნის ბერს, რომ ძველის წესით გადავიხდით კულუხსაო. ეს თხოვნა პატივსადებიც იყო, რადგანაც წელს ვენახები ერთობ წაახდინა ნაცარმა და ობმა, მაგრამ ყური არ ათხოვა მათს თხოვნას. ხალხმა ვენახები დაკრიფა და ტკბილი ჩაასხა და, რადგანაც ბერმა ძველის წესით არ გამოართვა, კულუხი არ მისცეს მეოთხედის კვალობაზე. ხალხმა სთქვა: ჩვენ ხომ უარზედ არა ვართ, ტკბილი ჩავასხით, ვსთხოვოთ უმაღლესს მთავრობასა, რომ ძველის წესით გვახდევინონ ღალა-კულუხიო. თუ ვინიცობაა ჩვენს თხოვნას არ შეიწყნარებენ, მაშინ წრეკანდელის კულუხის მაგივრად ფული მივცეთო. მაგრამ ბერმა იჩივლა; იმისის საჩივრის გამო დირბში მობრძანდა პოლიციის ბოქაული და მთლად დაბეჭდა ღვინის ქვევრები. ეხლა ეს ამოდენა სოფელი უღვინოდ დარჩა. ყველამ კარგად

---

ბახტრიონისკენ... ქართველების ლაშქარს წინამძღოლობდნენ გამოჩენილნი გმირნი, როგორიც იყო, მაგალითებრ, ბიძინა ჩოლოყაშვილი, რომელთაც, ვაჟკაცობის გარდა, საღვთო მოვალეობაც უღვიოდათ გულში; თათრებს-კი „ბელადი“ არა ჰყოლიათ:

იყრება თათრის ლაშქარი,
ალაზანს გროვდებიანო;
არავინა ჰყავ ბელადი,
ბელადსა ღონდებიანო.

რასაკვირველია, „უბელადოდ“ თათრის ლაშქარი არ იქნებოდა, მაგრამ ალბად ღირსეული ბელადი არ მოეპოვებოდათ. რაც უნდა იყოს, ქართველებმა ურჯულოთა მთელი ძალა შემუსრეს, მილეწ-მოლეწეს. სელიმ ხანმა და სულთანმა ძლივს-ღა უშველეს თავსა და შერცხვენილნი გაიქცნენ კახეთიდამ. ბახტრიონი გადასწვეს, ამაყის სულთანის სახლ-კარი ცეცხლით გადაბუგეს,

ორშაბათს, თენების ხანსა,
ბახტრიონს ციხე შავდება;
გარზედ გამოდი, სულთანო,
შენს სახლ-კარს ცეცხლი ედება!

შაჰ-აბაზ მეორეს სხვა საქმეები ჰქონდა და ამბოხების მოსასპობლად ჯარი ველარ გამოგზავნა კახეთში. მხოლოდ საქართველოს მეფეს ვახტანგ შაჰნავაზს შემოუთვალა: შეიპყარ ბიძინა, ელიზბარ, შალვა და აქ გამომიგზავნეო. ვახტანგმა დაუყოვნებლივ შეასრულა შაჰის ბრძანება: შეპყრობილნი გმირნი გაუგზავნა თავისს ბატონს[3]). შაჰმა კიდევ აილო და გადასცა იგინი სულთან არდალანყლს — შენ იცი და მაგათიო; თუ მაჰმადიანობა არ მიიღონ, ისე მოექეც, როგორც საჭიროდ დაინახაო. სულთანსაც ეს უნდოდა: მოსისხლე მტრები, რომელთაც სირცხვილი აჭამეს, ციხე თავზედ დაანგრიეს და კახეთიდამ განაძევეს, ხელში ჩაუვარდა!.. ჯერ ხომ შეუჩნდა და ურჩევდა ქრისტიანობა დაუტევეთ და მაჰმადი იწამეთო, მაგრამ როცა გმირებმა არ უღალატეს მამა-პაპურს სარწმუნოებას, მაშინ ულმობელმა მტარვალმა სხვა ღონის-ძიებას მიჰმართა, საშინელსა და სამარცხვინო წვალებას მისცა სამთავენი — ბიძინა, ელიზბარ და შალვა: გაატიტვლა იგინი, ხელ-ფეხი შეუკრა და მწყურვალ-უჭმელნი მზიან ალაგას დაჰყარა — ბუზებმა და კოღოებმა გამოსწოვონ სისხლიო... მეტი-ღა შერცხვენა და დამცირება იქნებოდა: კოღო-ბუზების ხროვას მიუგდო სისხლის საწოვნელად ის გმირები, რომელთაც მუჯრი გაავლეს სპარსელების მთელს რაზმს!.. მაგრამ ყველაზე მეტად უფრო ბიძინა აწვალეს. ის მარტო კოღო-ბუზებს არ დააჯერეს: ჩააცვეს ქალის ტანისამოსი, ვირზედ შესვეს და დაჰყავდათ სასაცილოდ ქუჩებში... დიახ, მკითხველო, ბიძინა ვირზედ შესვეს, სწორედ ის ბიძინა ჩოლოყაშვილი, რომელიც თავისის ტაიჭით ბახტრიონის ციხეში გადაფრინდა!.. სახელოვანი ვაჟკაცი ქალის ლეჩაქით ვირზედ... ამაზედ მეტი სათაკილო და შესარცხვენი დამცირება აღარა თქმულა ქართველ ვაჟკაცისათვის. ეს კიდევ არაფერი. შეურაცხყოფილმა გმირმა საშინელს დამცირებასა და გაუპატიურებასაც გაუძლო. ბოლოს დროს, როცა დაინახეს ბიძინა მხნედ არის თავისს სარწმუნოებაზედაო, აიღეს და ასო-ასოდ აკუწეს, „წვლილ კერძოებად“, როგორც ამბობს ანტონ კათალიკოსი თავისს „წყობილ-სიტყვაობაში“. სულ უკანასკნელად ჯერ ისევ ცოცხალი და ფთხრიალა გული გაუგმირეს ლახვრით[4]). თქვენც ჰხედავთ, რომ კახეთის აშლა და ბახტრიონის ციხის აღება მეტად შესანიშნავი ამბავია და ეს ამბავი ღრმად აღიბეჭდა კიდეც ხალხის მეხსიერებაში. თუმცა ქართლ-კახეთსაც მონაწილეობა ჰქონდა ამ საქმეში, მაგრამ ბურთი და მოედანი მაინც მთიულებს დარჩათ: თუშ-ფშავ-ხევსურთა გაიტანეს ბურთი ამ მოედანზედ, პირველად ისინი მივიდნენ იერიშით ციხეზედ და დალეწეს იმისი სიმაგრენი. ამიტომაც ეს გმირული ამბავი იმათს სახალხო ლექსებშია მოხსენებული. ლექსებიდგან სჩანს, რომ ხალხს მარტო ბახტრიონის აღება და თუშის ზეზვა გაფრინდაულის გმირობა დახსომებია, სხვა არაფერი. ეს ხომ ასეც უნდა ყოფილიყო: ხალხს ხშირად მარტო თავისის მიწა-წყლის გმირი ახსოვს, იმას ამკობს ქება-დიდებითა და სხვებს-კი ივიწყებს. ჩვენს მთიულებსაც ჰგონიათ, რომ ბახტრიონის აღება, სულთანის დამარცხება მარტო იმათი წინაპრების საქმე ყოფილა, — არც ბიძინა, არც შალვა, სულ ზეზვა და თუშ-ფშავ-ხევსურნი!.. ეს კიდევ არაფერი. ქართლ-კახეთის გმირების დავიწყება ადვილად ასახსნელია, საქმე ისაა, რომ თუშ-ფშავ-ხევსურნი ერთი-ერთმანეთს ეცილებიან, ეკამათებიან — ჩვენ ავიღეთ ბახტრიონი და არა თქვენაო... ჯერ მოხსენებულია:

წინ თუშნი, უკან ხევსურნი,
ფშაველნ ნელ-ნელა დიანო;
ჯავრობენ თუშიშვილები,
ხევსურნი არ გვინდიანო.

მერე-კი ისე გამოდის, რომ თუშები ყველაზედ ბოლოს მისულან, სწორედ მაშინ, როცა ფშავ-ხევსურებს იერიში მიუტანიათ ციხეზედ:

ფშაველნი, უკან ხევსურნი
ბახტრიონს გადადიანო;
დალიეს თათრის ლაშქარი,
თავებს უკვნა ჭურიანო.
მეორე დილა გათენდა,
თუშებიც ჩამოდიანო...
სად ეყარენით, თუშებო,
სადიაცენო თმიანნო!?.

სხვა ლექსიდგანაცა სჩანს, რომ თუშები არ დასწრებიან იერიშის მიტანას და, ასე გასინჯეთ, თვით ზეზვაც-კი არა ყოფილა იქ ამ დროს:

სად არი გაფრინდაული?
ხევსურნ კარავსა ჭრიანო!..
ლეგ-ლეგა ფშავლიშვილები
გალავანს გადადიანო...

ზეზვა მასუკან მოვიდა, მაგრამ მაშინ ხევსურებს მოუბრუნდა და უთხრა, —

...გადმიშვით ბახტრიონზედა,
ხმალდახმალ შვიდ თუ ვერ მოვკლა,
გამცვალეთ თათრის ქალზედა!..

ერთის თუშურის ლექსისაგან[5]) სჩანს, რომ თვით ბახტრიონის ციხე მაშინ აიღეს, როცა თუშები მოეშველნენ თანამოძმე ფშავ-ხევსურებს. მართალია, იერიში პირველად ფშავ-ხევსურებმა მიიტანეს, მაგრამ თუშებმა-კი გადასწყვიტეს საქმე, —

---

[3]) ზოგნი კიდევ იმ აზრისანი არიან, რომ, ვახტანგმა-კი არა, განჯის ხანმა, სახელად მ უ რ თ უ ზ ა ლ ი ხ ა ნ მ ა, გაგზავნა ბიძინა და იმისი ამხანაგები სპარსეთშიაო. ეს მურთუზალიხანი სელიმ-ხანის მაგივრად დანიშნეს კახეთის გამგებლად; იგი ქოეთში სცხოვრებდა. ერთს ძველს ფშაურს ლექსში იხსენიება მ უ რ თ ა ზ ი, რომლის წინააღმდეგ გაულაშქრნიათ ჩვენს მთიულებს:

თუშო, გაგვიძელ, წოვაო,
მურთაზს სად უდგა ჯარია.

იქნება ეს მურთაზი მურთუზალი ხანიც იყოს...

[4]) შემდეგ წამებულთა გვამნი მოიტანეს სპარსეთიდამ და დაასაფლავეს ს. იკორთაში. ჩვენი ეკკლესია იმათს ხსენებას დღესასწაულობს 18 სექტემბერს.

[5]) თიანეთის მასწავლებელს დ. თაბუნიძეს შეუკრებია თუშური ლექსები, რომელიც ამ ჟამად ჩვენ ხელთა გვაქვს. ამ ლექსთა კრებულიდგან მოგვყავს ზოგიერთი ადგილები ჩვენის საგნის შესახებ.

იცის, რა დროა შემოდგომა გლეხისათვის; შემოდგომაზე იმას წირვები აქვს, ქორწილები; შემოდგომაზე ის ცოტა არ იყოს მოცლილია, მხოლოდ მაშინ მიდის-მოდის გლეხი ნათესავებსა, მოკეთეებსა და ნათლიებში; იგი ამ დროს ყველას ღვინით უხვდება. დღეს დირბელი გლეხი-კი ღვინოს ჰყიდულობს; თავისის ოფლით მოყვანილი, თავისი ნაშირნახულევი დაბეჭდილი აქვს, სხვაგან მიდის და მამასისხლად ჰყიდულობს. მერე წელს ისეთი მჟირია ღვინო, რომ ღრმად მოხუცებულებს სრულად არ ახსოვსთ ასეთი სიძვირე. მიცვალებულზე, ქორწილსა და წირვაში გლეხი, მერე ქართველი გლეხი, უღვინოდ ვერ დადგება; სულ უკანასკნელი ორი კოკა ხომ უნდა ჰქონდეს. წელს ორი კოკა სამი თუმანია; ზვერს-კი შვიდი-რვა თუმნის ღვინო მოუნდება. თუ დიდხანს გასტანა ასეთმა ყოფამ დირბში, ბევრი ოჯახი ჩავარდება ვალში ღვინის გამო. ხალხი ძრიელ შეწუხებულია და აღარ იცის, ვის მიჰმართოს, ვისა სთხოვოს, რომ ქვევრები აუხსნან და ან ღვინოდ წაიღოს ბეჟმა, ან ფულადა. შეწუხებულმა ხალხმა ამ საქმის თაობაზე არზა მიართვა გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს და აგრეთვე გორის მაზრის უფროსს, რომ განკარგულება მოახდინონ და ასეთის გაჭირებიდამ გამოიყვანონ ხალხი. ამ საქმეს თუ მალე წამალი არ დაედო, ვინ იცის საწყალი ხალხი გაჭირებამ სადამდე მიიყვანოს. მთელი წლიწადია არზების ძლევას უნდებიან და ჯერ-კი ნამდვილად არა იციან-რა. ძალიან სამადლობელი საქმე იქნება, რომ დროზედ უშველონ რამე დირბელების საქმეს და მათს დავიდარაბას ბოლო მოუღონ და ასე იქნება თუ ისე გაუთაონ საქმე: ან ძველს წესზე გაატარონ, ან მეოთხედი გადუკვეთონ, რომ გლეხმა ნამდვილად იცოდეს თავისი მოვალეობა...

---

## სამეფო მატარებელი

### ხარკოვს ახლო

(17 ოქტომბრის უბედურება)

«Прав. Вѣст.»-ში დაბეჭდილია ამბავი იმპერატორის მოგზაურობისა და იმ უბედურებისა, რომელიც მოხდა 17 ოქტომბერს ხარკოვს ახლო, ბორკასა და ტარანოვკას სადგურს შუა:

აი კვლავ გაჰრიალდა სამეფო დროშა გემზე ბათუმის ნავთ-სადგურში. გემი ახსნეს და იმპერატორი თავისის უავგუსტოესის სახლობითა და ამალით წაბრძანდა ჩრდილოეთისაკენ. კავკასიაში ყოფნა და მოგზაურობა მათ უდიდებულესობათა სწორედ ზღაპარსა და ოცნებასა ჰგავნდა. იქაურმა სხვა-და-სხვა ერმა დიდის აღტაცებით მიიღო თავისი მეფე-ბატონი. ყველანი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რომ მეტის გულკეთილობითა და გულ-უხვობით დაეხვდეთ დიდებულს სტუმარსაო. რა არა ჰნახეს უავგუსტოესმა სტუმრებმა იმ საკვირველს ქვეყანაში: თვით მკვიდრნი და მათი სხვა-და-სხვა გვარი შეხედულობა, საინტერესო ტიპები, ლამაზი და მოხდენილი ტანთ-ჩაცმულობა, ძლევა-მოსილი კავკასიის მხედრობა, ბუმბერაზ მთანი, კლდენი, ზღვანი, უდაბნოს მსგავსნი მინდორნი, ცხრა-თვალა მზე სამხრეთისა, მოწმენდილი ცა, დაფნის ჭალები, ნავთის შადრევნები, მთის მდინარენი, მხიარულნი სახენი მკვიდრთა, გრძნობით წარმოთქმულნი სიტყვანი—ყოველივე ეს ჰნახეს და დიდად, დიდად ისიამოვნეს ამ მზით გაბრწყინვალებულს ქვეყანაში, რომელსაც დიდი მერმისი მოელის, რომელიც ძვირფასი ალმასია რუსეთის სამეფო გვირგვინისა.

...მაგრამ ვაი, რომ ამ სიამოვნებას, ამ მხიარულებას მოჰყვა საშინელი უბედურება და მხოლოდ ღვთის განგებამ გადაარჩინა მეფე და უავგუსტოესი მისი სახლობა. როცა გემი მივიდა სევასტოპოლში და პატარა ხანს უკან მხლებელნი და წევრნი ამალისანი უკვე ჩასხდნენ ვაგონებში, ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა: ახლა-კი მოვრჩით ზღვის ღელვასა და მშვიდობით ვიმოგზაურებთ ხმელეთზედაო. მაგრამ ღმერთმა სხვაფრივ ჰსაჯა. 17 ოქტომბერს, შუადღისას, სამეფო მატარებელი დიდის სისწრაფით მიდიოდა. ანგარიშით, საათში 60 ვერსის მანძილს გაივლიდა. ამ დროს მატარებელი იყო ბორკისა და ტარანოვკას სადგურს შუა და ღრმა ხევს უნდა გადასულიყო. იმპერატორის სახლეულობა და იმისნი ახლო მხლებელნი სასადილო ვაგონში ბრძანდებოდნენ და ის-ის იყო საუზმეს ათავებდნენ. უცებ საშინელი ჯახანი გახდა, მერე მეორე, მესამე... სასადილო ვაგონს კაცი ვეღარ იცნობდა, ისე მოიგრიხა და დაიმსხვრა. თვლები ღერძებიანათ შორს გადისროლა; კედლები დაილეწა და ნაჭერ-ნაჭერად იქცა, სახურავი მოიგრიხა, მარცხნივ გადიხნიქა და დაემხო ზემოდამ ვაგონის ნამტვრევებს. აი სწორედ ამ სახურავს ქვეშ მოჰყვა იმპერატორის სახლობა: მეფე, დედოფალი და უავგუსტოესნი მათნი ძენი.

იმავე ვაგონში ბუფეტი იყო გამართული. აქ მოკვდა ვაგონში მოსამსახურე; სარკე და ავეჯი დაიმსხვრა და დაილეწა. ის ვაგონი, რომელშიაც იყო დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული, მოატრიალა გარდი-გარდმო. წინა კედელი მოჰგლიჯა და აქედამ გადისროლა დიდი მთავრინა ფერდობზედ. სასადილო ვაგონიდამ გადისროლა ფერდობზედ აგრეთვე დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე და თავადი ობოლენსკი. სულ მცირე-წლოვანნი უავგუსტოესნი ძენიც ფერდობზე გადასტყორცნა, მაგრამ არაფერი სტკენიათ და სწუხდნენ მხოლოდ, რომ უავგუსტოესი მათი დედა იმ დროს გვერდით არა ჰყავნდათ.

გზათა მინისტრის ვაგონი მოსხლტა პირველად რელსებს და ისე დაიმსხვრა, რომ წვრილის ნატეხების მეტი არა დარჩენილა-რა. ვაგონები ინერციის ძალით გაქანებულნი მიჰქროდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ, იმსხვრეოდნენ და მათი ნამსხვრევნი აქეთ-იქით იფანტებოდნენ ფერდოებზედ. დაუმტვრეველი გადარჩა მხოლოდ სამი წინა და სამი უკანა ვაგონი. საშინელი სანახავი იყო ეს ამოდენა დამსხვრეული ვაგონები და დაჭრილნი და დახოცილნი, რომელნიც მწარედა ჰკვნესოდნენ. ჰქროდა ცივი ქარი, მოდიოდა წვიმა და საშინელი ძანძახი იყო.

ხელმწიფე იმპერატორმა მადლობა შესწირა ღმერთს თავისის სახლობის ასეთის სასწაულით გადარჩენისათვის და მერე თვით თავისის ფეხით დაათვალიერა ის საუბედურო ადგილი. სამეფო ჯარა-ექიმს ებრძანა დაუყოვნებლივ შემწეობა აღმოუჩინე დაჭრილთა და დაშავებულთაო. დაიწყეს ახლა ძებნა დახოცილთა და დაჭრილთა. ზოგიერთს კაცი ვეღარ იცნობდა, ისე იყვნენ დამახინჯებულნი. დახოცილთა შორის საჩქაროდ იპოვეს ექიმის თანაშემწე ჩეკუეერი, ფელდ-ეგერი და შტაბს-კაპიტანი ბრეში. სულ დაიხოცა 21 კაცი და 37 სუბუქად და მძიმეც დაიჭრა. ერთი ამ დაჭრილთაგანი მალე გარდაიცვალა. ოდნავ დაშავებულთა და ნატკენთა ყურადღება არ მიაქციეს თავისს ნატკენობას და ზემოხსენებულს სიაში არ იქმნენ ჩათვლილნი. ბევრს სისხლი გადმოსდიოდა გაკაწრულისა და ნატკენის ადგილიდამ. ხელმწიფე იმპერატორი, თუმცა ფეხი იტკინა, მხნედ დადიოდა ყველგან იმ ტალახსა და წვიმაში და ანუგეშებდა ალერსიანის სიტყვებით. ხელმწიფე იმპერატრიცა ყურადღებას არ აქცევდა თავისს ნატკენს ხელს და სცდილობდა შემწეობა მიეცა უფრო ძრიელ დაჭრილთათვის.

ამალის წევრთაგან უფრო დაშავებულია ფლიგელ-ადიუტანტი შერემეტიევი. გული აქვს უფრო ნატკენი და ერთი თითი მოგლეჯილი. ფრეილინა გრაფინია მარია გოლენიშჩევა-კუტუზოვისას ჯერ ვერ შეემჩნია, რომ ფეხი ჰქონდა ნატკენი, მაგრამ მალე იგრძნო ტკივილი და, მეტი ღონე არ იყო, უნდა დაწოლილიყო დაჭრილთა ვაგონში. ნატკენობა აღმოაჩნდათ აგრეთვე სამეფო კარის მინისტრს გრაფს ვორონცოვ-დაშკოვს, სამხედროს—გენერალ-ადიუტანტს ვანნოვსკის, დანილოვიჩს, რიხტერს და ჩერევინს. ძალიან არის დაშავებული ბარონი შერნვალი, რომელიც საკაცეთი გადიტანეს სანიტარულს ვაგონში.

—

გაზ. „Нов. Вр."-ში ბ-ნს პეტერბურგელს მოყვანილი აქვს თავისი ბაასი სასახლის მხატვარ მ. ა. ზიჩისთან, იმ ზიჩისთან, რომელმაც ჩვენის უკვდავის „ვეფხის-ტყაოსნის“ ძვირფასის გამოცემისათვის სურათები დახატა და რომელიც 17 ოქტომბრის უბედურების დროს იმავე ვაგონში ყოფილა, რომელშიაც საუზმეს მიირთმევდა ხელმწიფე იმპერატორი თავისის ოჯახითა და მახლობლებითურთ.

სასადილო ვაგონის წინა ნაწილიო,—უთქვამს ზიჩის:—ეჭირა ბუფეტს, ბოლოზედ გამართული იყო საუზმეს მოსამზადებელი განყოფილება ბუფეტისავე. თვით სასადილო ვაგონის შუა დიდი სტოლი იდგა, მილურსმული ვაგონის იატაკსა და კედლებზედ.

მოგვყავს დაწერილებით, თუ ვინ როგორა მჯდარა საუზმის დროს: მარცხნივ მხარეს პირველი ადგილი ბუფეტისაკენ სტოლის სიგრძეზედ ეჭირა ფლიგელ-ადიუტანტს შერემეტიევს, იმისს გვერდზედ იჯდა გენერალ-ადიუტანტი ზინოვიევი, სტატს-და-

---

ბახტრიონს სულთნის ციხეო,
ცამდინ აგიშვეს ალია;
კარზედ გამოდი, სულთანო,
ჩვენ დიდი გმართებს ვალია;
ამ თექიანმა თუშებმა
არ შეგარჩინეთ ჯავრია!..

რაც უნდა იყოს, თუშმა ზეზვამ მაინც დიდი ვაჟკაცობა და სიმხნევე გამოიჩინა იმ დიდებულს დროს, როცა აჯანყებულმა ხალხმა მტარვალთა ურდოლი დაამსხვრია, ზეზვას დამღერის და დაჰხარის ხალხი. ზეზვაც თავ-მოწონებული შეჰყურებს თავისს ფრანგულსა და სიამოვნებით ალღსებულია, რომ ალვანის დიდი მინდორი აავსო თათრის მკვდრებით. აი ეს მშვენიერი ლექსიც ზეზვას გმირობისა:

ხმალს ზვერავს გაფრინდაული,
თორმეტი მოკკლა ამითა;
დიდი ალვანის მინდორი
ავავსე თათრის მკვლითა;
მგელსა დავცვითე კბილები,
ტურას ლოყები ჭამითა...

თვით ზეზვას თანამებრძოლნი ჰმოწმობენ, რომ იგი დიდი ვაჟკაცი ყოფილა; ასეთი მოწამეა, მაგალითებრ, ვილაც ხოშარაული,—ალბად ფშაველი სოფ. ხოშარადგან,—რომელსაც ბახტრიონის ალებაში მეტის ხმარებისაგან ხმალი გასტეხია:

იტყოდა ხოშარაული:
ორი თუ ჯობდეს ზეზვასა,
მამაგდებინეთ მკლავია;
ზეზვაი გაფრინდაული
კაი გაჟკაცი არია...

ზეზვას გმირობაც ტრაგიკულად გათავდა, იმანაც ტანჯვასა და წვალებაში დალია სული. ჩვენ ვსთქვით, რომ ბიძინა, შალვა და ელიზბარი შეიპყრა ვახტანგ მეფემ და შაჰს გაუგზავნაო. ზეზვაც მოტყუებით დაიჭირეს,—

ზეზვაი მოატყუესა,
დაიბალითეს ენითა.

მერე ძუა-შელებულ ცხენზედ შესვეს, დიდის ამბით მიიყვანეს ქ. ტფილისს და იქ სატუსაღოში ამოუკვეს თავი. აი როგორ ასწერს ამ ამბავს ერთი ხევსურული ლექსი:

ზეზვაის ცხენო, ამ ზამთარ
ბაგა გამახარ კბილითა;
ქალაქ დაგიბეს პატრონი,
დამეს გითენებს გმინითა;
გომბორ გადაავლიეს
მუა-ნალები ცხენითა,
ბაზარ შამაავლიეს
დაფ-ნაღარაი-სტვირითა...

შეპყრობილის გმირის სანახავად თათრები მიდიოდნენ და ალბად ხელფეხ შეკრულს ვაჟკაცს მეტად გულს უკლავდა ეს ამბავი—

ზედი-ზე შადგა თათრები,
ზეზვა უნდ ვნახათ თვალითა.
ზეზვა რა სანახავია,
მაკლული თქვენი ხელითა...
მაშ რად არ ნახე ზეზვაი,
ბახტრიონ იდგა ცხენითა,
მაგდევდათ, მაგაწყვეტდათ,
მაგხვევდათ შუბის წვერითა!..

ჩვენ არ ვიცით სახელდობრ ვინ და როგორ შეიპყრა ზეზვა, რა წვალება მიაყენეს ხალხის გამოჩენილს გმირს. ვინ იცის, იქნება ისიც თან გააყოლეს სპარსეთში ბიძინას და იმას ღირსეულს თანამემამულეებს! ყოველ შემთხვევაში, ზეზვა გაფრინდაული მთიულების საყვარელი გმირია და დიდი ღვაწლი მიუძღვის სამშობლოს წინაშე: კახეთის აშლის დროს მან (1659 წ.) შემუსრა სპარსელთა ჯარი, ალვანის არე-მარე გაანთავისუფლა უსჯულოთაგან, მხარი დაუჭირა საუკეთესო მამულიშვილებს... ჩვენი მატიანე არ იხსენიებს ზეზვას, მაგრამ ხალხის მახსოვრობა უფრო დიდი მატიანეა და ეს არ უნდა დავივიწყოთ.

—

ორიოდე შენიშვნაც ბ-ნ ა. ხახანაშვილის «ბახტრიონის ალებაზედ». თუმცა ჩვენს მწერლობაში არც ერთი შენიშვნა, რაც უნდა საბუთიანი იყოს, უდავიდარაბოდ არ გათავდება ხოლმე, მაგრამ მაინც გავბედავთ და ვიტყვით, რომ პატივცემულს მოღვაწეს სრულიად ვერ გაუგია ხალხის გარდმოცემა ბახტრიონის ალებაზედ. ვილაცა პირ-იქითელს თუშს, კელა ზურაბაშვილს, უამბნია, რომ ორი მონადირე თუში გააუპატიურეს თათრებმა და ამის გამო მთელი თუშ-ფშავხევსურნი ალემხედრნენ და ბახტრიონის ციხე აიღესო; ბ-ნი ა. ხახანაშვილიც ამდგარა და სწორედ ასე ჩაუწერია ნაამბობი!.. სჯერა კიდეც... მაგრამ ავტორი რომ დაჰკვირვებოდა თავისავე მოყვანილს ზეზვას ლექსს, ზეზვაზედ სხვებისათვისაც ეკითხა, გადაესინჯა აი თუნდა დ. ხიზანაშვილის „ფშაური ლექსები“, მაშინ ხომ თავიდამ აიცილებდა შეცდომას. ეხლა-კი არა თუ მარტო მთელი მისგან ჩაწერილი „ხალხის ზეპირ-გარდმოცემა“ თავიდამ ბოლომდე ტყუილია, სამწუხაროდ, ზოგიერთი იმისი საკუთარი მოსაზრებაც უსაბუთოა; მაგალითებრ, ბ-ნი ხახანაშვილი ერთის კალმის მოსმით ამტკიცებს, რომ ხალხის გარდმოცემა ბახტრიონის ციხის ალებაზედ უნდა ეკუთვნოდეს უფრო ძველს დროს, ვიდრე მეთხუთმეტე საუკუნესაო!.. რადა, როცა მაშინ ბახტრიონის ციხის ერთი ქვაც არ მოიპოვებოდა?! ბ-ნს ავტორს ბახტრიონი და მაღრანი ერთი-ერთმანეთისაგან ვერ განურჩევია; ვახუშტიც ამ ორს სახელს ერთად იხსენიებსო... ვსთქვათ, ვახუშტი ერთად იხსენიებს, მაგრამ რაო?—მაღრანის ციხე სულ სხვა იყო და ისე შორს იყო ბახტრიონის სიმაგრეზედ, როგორც აწინდელი ბახტრიონი შორს სდევს ს. მაღრანზედ (ჩვენ ეს ორივე სოფელი კარგად ვიცით). საკვირველიც არაა, რომ ბახტრიონის ციხე არ იხსენიება მეფე დავით VIII დროს (1511—1513), რადგანაც იგი ციხე ააგეს შემდეგში, როცა შაჰ-აბაზმა ააოხრა კახეთი.

ბ-ნი ავტორი, როგორც საჭიროა, არც თუშის კელა ზურაბაშვილის ნაამბობს დაჰკვირვებია. ამ კელას უამბნია, ალვანს ეს სახელი იმიტომ დაერქვა, რომ იმ ადგილს, სადაც თუშებმა თათრები ამოსწყვიტეს, „ავარდა სისხლის ალიო“ (ეს სისხლის ალი რაღაა?!) და ა. ხახანაშვილსაც ჩაუწერია ეს ზღაპარი. მაგრამ განა თითონ ავტორმა არ იცის, რომ ალგანი, ალბანია ძველი გეოგრაფიული სახელია იმ ადგილისა, რომელიც ალაზნის იქითა მხარეს მდებარეობდა!?. თუშს უთქვამს, ფშავ-ხევსურებმა, თათრების დამარცხების შემდეგ, დაულა აიღეს, ჩვენმა წინაპრებმა-კი ალვანიო და „ამიტომ ალვანი საერთო მამულიაო“... ვითომ ავტორმა არ იცოდეს, საიდგან და როგორ წარმოსდგა საერთო მამული, საერთო მფლობელობა!.. მაგრამ კმარა.

სასიხარულო და სასიამოვნოა, რომ ჩვენი ახალგაზდობა მისდევს თავისის სამშობლოსა და ერის ვინაობის შესწავლას. ამ შესწავლაში ბ-ნს ა. ხახანაშვილს არ უჭირავს მცირედი ადგილი და შემდეგისათვის, იმედია, უფრო დიდსა და თვალ-საჩინო ადგილს დაიჭერს. ეს კარგი და პატიოსანი, მაგრამ საჭიროა ყველას ახსოვდეს, რომ ეტნოგრაფიისა, თუ სახალხო პოეზიისა და სიტყვიერების შესწავლას სერიოზულად და გულ-დადებით უნდა მოვეკიდნეთ. მხოლოდ მაშინ მოიტანს ნაყოფს ჩვენი შრომა და მოღვაწეობა.

ნ. ურბნელი

მა შერემეტიევისა, ხელმწიფე იმპერატორი, ფრეილინა გრაფინია კუტუზოვისა, გენერალ-ადიუტანტი რიხტერი, დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე და ლეიბ-აკუშორი გირში; მარჯვნივ ბუფეტისაკენ პირველს ადგილზედ, ფლიგელ-ადიუტანტის შერემეტიევის პირდაპირ, იჯდა მხატვარი ზიჩი, შემდეგ ფრეილინა გრაფინია კუტუზოვისა, მემკვიდრე პრინცი, გენერალ-ადიუტანტი პოსიეტი, ხელმწიფე იმპერატრიცა, გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი, გენერალ-ადიუტანტი მარტინოვი, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული და, სულ ბოლოზედ, გირშის პირდაპირ, გენერალ-ადიუტანტი ჩერევინი.

ის იყო ქაში მოგვიტანესო,—განაგრძო თურმე თავისი მოთხრობა მ. ა. ზიჩიმ:—დავინახე, რომ მსახური, რომელიც ჩემ მხრივ დასტრიალებდა სუფრას, ჩემსკენ წამოვიდა საჭმლით, ერთბაშად წინ წამოვარდა, ქაშის ჰურჭელი წამოიღო, ველარ შეიმაგრა და ცხელი საჭმელი მხრებსა და მუხლებზედ გადმომასხა. გონზედ არ ვიყავი ჯერ მოსული, რომ სამი საშინელი ჯახუნი მომესმა: პირველს ჯახუნზედ ფეხთა ქვეშიდგან იატაკი გამოგვეცალა, მეორეზედ—ვაგონმა მარცხნიდგან მარჯვნივ პირი იბრუნა და გარდი-გარდმო დასდგა ლიანდაგზე, მესამეზედ—ვაგონის ჭერი დაგვეცა, ზედ დაგვეხურა და ისე დაგვამწყვდია, თითქო სამარეში ვყოფილიყავითო. ასეთმა მდგომარეობამ სულ რამდენსამე წამს გასტანა. . იმისის წყალობით, რომ ვაგონის ჭერი თაღივით იყო, ძალიან არ დაგვწოლია, მით უმეტეს, რომ ჭერი ირიბად დაგვეცა და არა პირდაპირ. ჩემს მხარეს ვაგონის კედელსა და ჭერს შუა გასასვლელი ადგილი იყო და იქიდამ გამოვფოფხდი; ჩემს შემდეგ გამოვიდა გრაფინია კუტუზოვისა, იმის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი. ყველანი სასწაულებრივ გადავრჩით განსაცდელს, თუმცა ზოგიერთნი ჩვენგანნი დაშავებულნი და ნატკენნი არიან. ხელმწიფე იმპერატორს მარჯვენა ჯიბეში ვერცხლის სათამბაქოე ჰქონდა და ისე მაგრად დასცემოდა ჭერი ვაგონისა, რომ სულ ერთიანად დაჭქექვოდა; გენერალ-ადიუტანტს ჩერევინს სარკის ნამსხვრევები მოჰხვდა მარცხენა ხელსა და კისერში და დაიჭრა; აგრეთვე ნატკენნი არიან გენერალ ადიუტანტები ზინოვიევი, პოსიეტი და მარტინოვი. ერთს ამათგანზე ისეთი ზედმოქმედება იქონია ზემო ხსენებულმა უბედურებამ, რომ თავისდა უნებურად, უგრძნობლად ჩაიდო ვერცხლის კოვზი ჯიბეში და უეცრად გადაავიწყდა სახელი თავისის მოკლულის მსახურისა. ყველაზედ მეტად დაშავებულია ფლიგელ-ადიუტანტი შერემეტიევი, რომელსაც მარცხენა ხელის თითები მოგლეჯილი აქვს და მკერდი დაქექილი. მოსამსახურე ლაუტერი, რომელიც ხელმწიფეს ადგა თავზე და ემსახურებოდა, პოდნოსით ხელში რყევამ ბუფეტში შეისროლა და იქვე ხული გაანთხევევინა. ყველანი, ვინც-კი ბუფეტში იყო, ან დახოცილნი არიან და ან დამახინჯებულნი.

მე ძალიან ადვილად გადავრჩი. როგორც ჰხედავთ, მხოლოდ რამდენსამე ალაგას ოდნავ მაქვს ხელი გაკაწრული, მაგრამ აქამდე კიდევ თვალ-წინ მიდგა ის უბედურება.

—

აი კიდევ ორიოდე ამბავი, „Нов. Вр.“-ში დაბეჭდილი: ბარონი შერნვილი, თავში დაჭრილი, ფერდობზე იჯდა, გამორეტიანებული იყო, ხმა-კრინტს ვერ იღებდა და მხოლოდ ხელებს-ღა იქნევდა. მასთან მივიდა ხელმწიფე იმპერატრიცა, შემოიხსნა ბაშლიკი და თავი შეუხვია. დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული (ექვსის წლისა) სასადილოს ვაგონის მომდევნო ვაგონში იჯდა. ეს ვაგონი სასადილო ვაგონს მოექცა წინ, თითქოს ერთი ვაგონი მეორეზედ გადაუსროლია ვისმეო. როცა ოლგა ალექსანდრეს ასული განთავისუფლდა ვაგონიდგან, გარეთ გამოვიდა და ხელმწიფე იმპერატორი დაინახა უთხრა: „მამა, ნუ სწუხარ, მე არა მიჭირს-რა, არ დავშავდი, მაგრამ ამას იქით-კი აღარ წამოვალ“.

ოთხივე მოსამსახურე, რომელნიც ბუფეტში იყვნენ, და მომუშავენი, მუშათა ვაგონში მყოფნი, დახოცილები არიან. გზათა სამინისტრო ვაგონში, რომელიც სულ ნაჭერ-ნაჭერ არის ქცეული, იყვნენ ბარონი შერნვალი, გზის ინჟინერი კრონენბერგი და გამგე გზისა კოვანკო. ეს სამივენი რყევამ ვაგონის ერთის გამომტვრეულ ადგილიდგან გამოჰყარა გარეთ.

## წვრილი ამბები

ბერლინში ამას წინად დიდის ზარითა და ზეიმით აუმართავსთ ძეგლი პოეტის შამისოსათვის.

— ებერსს ახალი რომანი დაუწერია, რომელიც შტუტგარტში უნდა დაიბეჭდოს. ამ რომანს ეწოდება „Die Gred“-ი და ძველ ეგვიპტესთან საერთო არა აქვსრა. მოქმედება სწარმოებს ძველს ნიურენბერგში.

— ჩინეთში ყვითელი მდინარე კვლავ მოვარდნილა და დიდ-ძალი ხალხი წაულეკია. საიმპერატორო დეკრეტი საყვედურს უთვლის ამ მდინარეზედ სამუშაოთა უმთავრესს დირექტორს, რომ არ ეცადნენ და არ ააცდინეს ხალხს თავიდგან ეს უბედურებაო. დირექტორი დაპირებით ბევრს დაპირებას იძლეოდა, ხოლო საქმით-კი მხოლოდ ის დაამტკიცა, რომ „არავითარიმე ცოდნა არა ჰქონია“ და რომ „ის დაუქადნია, რის შესრულებაც ვერ შესძლებიაო“.

— პარიჟში 28 ნოემბრისათვის დანიშნულია წარმოსადგენად «რომეო და იულია», გუნოსი. იულიას როლს აღასრულებს თურმე პატტი და ორკესტრის დირიჟორად კი თითონ გუნო იქმნება.

— იმ 150 საცოლოსაგან, რომელნიც კეთილშობილს გვარეულობას ეკუთვნიან და პეკინის სასახლეში იყვნენ თავ-მოყრილნი, ჩინეთის იმპერატრიცა-დედას თავისის შვილისათვის ცოლებად 26 ქალი ამოურჩევია. იმპერატორი 17 წლისაა.

— ორი ქალი მიუნჰენში დიდხანს დაჩოქილნი ყოფილან ლიუდვიგ მე-II ძეგლის წინაშე და ბოლოს ტბაში გადაცვივნულან. ამ ქალთა დამრჩვალი გვამები იმავე მეთევზეს ამოუღია ტბიდგან, რომელმაც უბედურის მეფის გვამი ამოიღო.

— ერთი ინგლისელი, რომელსაც ცალი თვალი შუშისა ჰქონია, მისულა ამას წინად ოსტინდიაში და დაუჭერია მსახური ღამე, ძილის დროს, მარაოს საბერველად. ამისთანა საქმეზედ დაყენებული მსახური ყოველთვის ზანტობს საზოგადოდ და მიეძინება თუ არა ბატონს, საქმეს თავს ანებებს. ინგლისელმა ეს ამბავი იცოდა თურმე და ბევრი იცინა, როცა მეორე დილას მსახურების ერთმანეთში ლაპარაკს ყური მოჰკრა. იმისმა მსახურმა თავის ქნევითა სთქვა თურმე: „თქვენ ბედნიერნი ხართ, რომ ბატონი დაგიძინებიათ და მერე თქვენც გიძინიათ. ჩემი ბატონი ძალიან გაიძვერა გამომადგა; ძილის დროს ერთს თვალს იღებს და სტოლზე სდებს, რათა ჩემს საქციელს უთვალ-თვალოს და ყური ადევნოს; ეს სტოლზე დადებული თვალი მთელს ღამესა ჰფხიზლობს და ამიტომ იძულებული ვარ მთელი ღამე ვიქნიო მარაო, დილამდე, მანამ მეორე თვალიც გამოიღვიძებს ხოლმეო“.

## დეპეშა

28 ოქტომბერი

**სოფია.** პირველი სხდომა საერო კრებისა ძალიან მღელვარე იყო. გერვანოვმა მიმართა სტამბულოვს და ილაპარაკა იმაზე, რომ ხრისტოვსა და ოლჩევს, როცა დამწყვდეულნი იყვნენ, ძალიან ცუდად ეპყრობოდნენო. გერვანოვს ამაზე პასუხი არ გასცეს; ამიტომ სამხედრო მინისტრად ნამყოფმა იეანჩევმა ძლიერი სიტყვა წარმოსთქვა და დაასახელა მართებლობის ყველა შეცდომანი; იეანჩევმა სთქვა, რომ ბოლგარია დაიღუპება, თუ საქმე ამ რიგად წავიდაო. იეანჩევის სიტყვა დიდის ამბითა და აღტაცებით მოისმინა მთელმა ოპოზიციამ. სტამბულოვმა სთქვა, რომ იეანჩევს აზრად აქვს უსიამოვნება გამოიწვიოსო. მთელმა ოპოზიციამ იუკადრისა ეს სიტყვები. შემდეგ სხდომა შეუდგა მორიგ საქმეების გარჩევას. ოპოზიციამ ასეთი საქციელი სხდომისა ძალ-მომრეობად მიიჩნია და თავისი უკმაყოფილება გამოაცხადა.

29 ოქტომბერი

**ლონდონი.** ბანკეტზე ლორდ-მერისას სალისბერიმ სთქვა, რომ ამბოხება ავღანისტანში უკვე მოსპობილია და ინგლისს არავითარი უსიამოვნება არ მოელის ავღანების მხრითაო. ეგვიპტის საქმის შესახებ სალისბერიმ გააგებინა ბანკეტზე დამსწრეთ, რომ ჯერ შეუძლებელია გადასწყდეს, რა გზით უნდა დაიჭიროს ინგლისმა ეგვიპტეო. ევროპის შესახებ მინისტრმა სთქვა, რომ ყველა სახელმწიფონი სცდილობენ მშვიდობიანობა დაიცვანო. იმისდა მიუხედავად, რომ სახელმწიფონი თოფ-იარაღსა და ჯარებს ამზადებენ, ინგლისის მართებლობას მაინც იმედი აქვს, რომ მშვიდობიანობა დაცული იქნება; მაინც და მაინც ინგლისი უნდა ეცადოს, რომ თითონაც მზად იყოს ყოველის შემთხვევისათვისაო.

**პარიჟი.** კონსტიტუციის გადასასინჯავად დანიშნულმა კომისიამ გადასწყვიტა, რომ კონსტიტუცია, რომელსაც შეადგენს დამფუძნებელი კრება, თვით ერმა უნდა დაამტკიცოსო.

პეტერბურგის ბირჟა, 28 ოქტომ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7 68 | — „ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 152 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 18 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 269 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 241½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | 97½ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | 97 „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

ღვინობისთვე 31 დღით არის

30 დღე კვირა. მოწ. ზინოვიასი, იუსტისა, არტემისა და სხ. კათოლ. ზინოვიასი. სომეხ. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მაჰმად. მე-7 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—45, ჩადის 4—44. მთვარე 8 დღისაა.

31 დღე ორშაბათი. წმ. სპირიდონისა და მავრისა. კათოლ. ვოლფგანგისა. სომეხ. რომის პატრიარქის სტეფანესი. მაჰმად. მე-8 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—46, ჩადის 4—45. მთვარე 9 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | . | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | . | 3½ „ |
| „ 2 „ | | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | 5 „ |
| „ „ 2— | | 4 „ |
| „ „ 3 „ | | 3½ „ |
| ჭვავის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | . | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა | . | 4 „ |
| მე-3 — . | . | „ „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 8 „ |
| „ 2 „ | | 7 „ |
| სუკი . . | . | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 8 „ |
| ღორის ხორცი . . | . | „ „ |
| „ 2 „ | | „ „ |


# განცხადებანი

ქ. ტფილისის ხაზჭოს მიერ შედგენილი კომისია, რომელმაც უნდა აირჩიოს ადგილი სამუდამო საყასბოსათვის, მოიწვევს იმათ, ვინც თანახმანი იქნებიან თავიანთი მამულები დაუთმონ ქალაქს საყასბოსათვის, და სთხოვს თავიანთი პირობა და თანხმობა წერილით აცნობონ ტფილისის საქალაქო გამგეობას. წერილში აღნიშნული უნდა იყოს, თუ სად არის მამული, რამდენია და რა ღირს.

საყასბოსათვის გამოსადეგი მამულები უნდა იყოს მდ. მტკვრის დაყოლებაზე: მარჯვენა ნაპირზე მირზოევის ფაბრიკის ქვემოდ, ხოლო მარცხენა ნაპირზე—„ლინეინის ყაზარმების“ ქვემოდ. თავიანთი პირობა და თანხმობა უნდა აცნობონ ამ წლის 15 ნოემბრამდე. (2—2)

გამოვიდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

## გამიდა ასეათი

მოთხრობა

გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

ადგილობრივის ღვინოების

## შამპანური

ევგ. ზემმელისა.

კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზედ, სახლი № 92, სათავად-აზნაურო სობრანიის საზაფხულო სადგომის გვერდზედ. (1—1)

კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაგის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, ბექხანოვის, სახლი, № 103. (10—9)

ამ ოქტომბრის 20-დგან

გავმართეთ

გოლოვინის პროსპექტზე, თ. ჯამბაკურიან-ორბელიანის სახლებში

სასტუმრო

## სამადური.

ყოველ დღე მზადდება ყოველ გვარი საჭმელი ახალისა და საუკეთესო სანოვაგისაგან, როგორც ევროპიული, აგრეთვე აზიურიც. ფასები ზომიერია. (4—2)


Доз. ценз. Тифлисъ, 29-го Октября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე